ხელშეკრულება № 171

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (საქონლის შესყიდვა)

ქ. გორი 18 აგვისტო 2015 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი (შემდგომში – შემსყიდველი) **დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ქვათაძის სახით (საიდენტიფიკაციო კოდი 417883044)** და მეორეს მხრივ **ი/მ დავით ფანიაშვილის (საიდენტიფიკაციო კოდი 59001004340)** შემდგომში მიმწოდებელი ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ხელშეკრულების საგანია: 1 ცალი კარტრიჯის შესყიდვა.

2. შესყიდვების ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია: კარტრიჯი (CPV-30125100).

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში

3.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **30.00 (ოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარს..**

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება კონკრეტულ მოთხოვნის გაკეთებიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, „მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა ან სასაქონლო ზედნადები)

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. *ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი*

7.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში

7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით თანხის მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე გადარიცხვით.

7.3 ანგარიშწორება „შემსყიდველის" მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არა უმეტეს 30 (ოცდაათი) საბანკო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველს" უფლება აქვს: -- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობები.

8.2 „შემსყიდველი" ვალდებულია:- მოახდინოს ანგარიშწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვლისწინებული პირობების შესაბამისად.

- უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის მიღება

8.3 მიმწოდებელს უფლება აქვს: - მოსთხოვოს შემსყიდველსშესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:- მიაწოდოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტი მოთხოვნის გაკეთებიდან არა უგვიანეს 20 დღისა.

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთაA პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისათვის

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შსაბამისად.

9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შუძლია დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესები.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მისი ხელის მოწერის დღიდან 50 (ორმოცდაათი) კალენდარული დღის ვადით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია. თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებების პირობების მათ შორის ფასის შეცვლა თუ ამ ცვლილებების შედეგად იცვლება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიაანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილებრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრუელბის შესრულებაზე.

12.2 თუ სახელშეკრუელბო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპესაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარარელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ქვათაძე.

14.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელსაყრელ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2 არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	**"მიმწოდებელი"**
ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის	
მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-	ი/მ „ დავით ფანიაშვილი "
საგანმანათლებლო ცენტრი	მის: ქ.გორი, ჭავჭავაძის N61
გორი, მშვიდობის გამზ. №12ა	
ს.ს. "ლიბერთი ბანკი"	სს. "პოკრედიტ ბანკი"-ს გორის ფილიალი
ბანკის კოდი: LBRTG22	ბანკის კოდი: MIBGGE22
ს/ნ: 417883044	ს/კ 59001004340
ა.ა. GE02LB0115171175191000	ა/ა: GE39PCO143600100029388

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
/ გ. ქვათაძე /	/დ. ფანიაშვილი /

მიღება-ჩაბარების აქტი

(საქონლის შესყიდვის შესახებ)

ქ. გორი 18 აგვისტო 2015 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი **დირექტორის** მოვალეობის **შემსრულებელი** გიორგი ქვათაძის **სახით** (ს/კ 417883044) „შემსყიდველად" წოდებული და მეორეს მხრივ **ი/მ** დავით ფანიაშვილის **სახით (ს/კ** 59001004340) „გამყიდველად" წოდებული, ვადასტურებთ, რომ 2015 წლის 18 აგვისტოს ხელშეკრულების (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მომსახურეობის შესყიდვა) თანახმად „გამყიდველმა" მოგვაწოდა 1 ცალი კარტრიჯი, ხოლო „შემსყიდველმა" გადაიხადა 30.00 (ოცდაათი **ლარი** და 00 თეთრი) ლარი და მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ.

ეს მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია ორ ეგზემპლიარად რომელთაგან ერთი გადაეცემა ჩამბარებელს.

"შემსყიდველი"

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის

მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-

საგანმანათლებლო ცენტრი

გორი, მშვიდობის გამზ. №12ა

ს.ს. "ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი: LBRTG22

ს/ნ: 417883044

ა.ა. GE02LB0115171175191000

"მიმწოდებელი"

ი/მ „ დავით ფანიაშვილი "

მის: ქ.გორი, ჭავჭავაძის N61

სს. "პოკრედიტ ბანკი"-ს გორის ფილიალი

ბანკის კოდი: MIBGGE22

ს/კ 59001004340

ა/ა: GE39PCO143600100029388

შემსყიდველი:

/გ. ქვათაძე

მიმწოდებელი

/დ. ფანიაშვილი

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება #: 1195

თარიღი: 2015 წლის 24 08, ორშაბათი

გადამხდელის დასახელება:	გორის თვითმმართველი თემის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ საგანმანათლებლო ცენტრი
ანგარიში (დებეტი):	GE02LB0115171175191000
გადამხდელის ბანკი:	სს "ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი:	LBRTGE22
გადასახადის გადამხდელის დასახელება:	
საიდენტიფიკაციო კოდი:	
საბიუჯეტო შემოსავლის კოდი:	
მიმღების დასახელება:	ი.მ. დავით ფანიაშვილი
საიდენტიფიკაციო კოდი:	
ანგარიში (კრედიტი):	GE39PC0143600100029388
მიმღების ბანკი:	სს "პროკრედიტ ბანკი"
ბანკის კოდი:	MIBGGE22
გადახდის დანიშნულება:	კარტრიჯი (1 ცალი)

ხელმოწერა: _____

_____ ბ.ა.

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან

GEL	
GEL	
30.00	
თანხა სიტყვიერად	
ოცდაათი *GEL* და *00*	
ბანკის აღნიშვნები	
ბანკში შემოსვლის თარიღი:	24.08.2015
ხელმოწერა:	